„ციფრული ტრანსფორმაციის გავლენა კორპორატიულ კულტურაზე“

(საბანკო სექტორის მაგალითზე)

სოფიკო კობლიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, განათლებისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: მენეჯმენტი

სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია ვაჩეიშვილი, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფიკო კობლიშვილი

17 ივნისი 2025

აბსტრაქტი

იმისთვის, რომ კომპანიები მზად იყვნენ ციფრული ტრანსფორმაციის დასაწყებად, წინასწარ უნდა გაითვალისწინონ ის მოსალოდნელი შედეგები, რის წინაშეც დადგებიან. ციფრულ ინიციატივების დაგეგმვა სამუშაო გარემოზე დიდ გავლენას ახდენს, მათ შორის, გარკვეულწილად მოქმედებს კორპორატიულ კულტურაზე. ტრანსფორმაციის წარმატებით განხორციელებისათვის კომპანიამ უნდა შეიმუშავოს სტრატეგიები, თუ როგორ დაარეგულირებს აღნიშნულ ცვლილებებს და საჭიროების შემთხვევაში როგორ გაუმკლავდება გამოწვევებს.

სამაგისტრო ნაშრომი „ციფრული ტრანსფორმაციის გავლენა კორპორატიულ კულტურაზე“ წარმოადგენს ციფრული ტრანსფორმაციისა და კორპორატიული კულტურის ურთიერთდამოკიდებულებას. ქართული საბანკო სექტორის მაგალითზე გამოკვლეულია საკითხები, რომელთა საშუალებითაც შეგვიძლია ცხადად დავინახოთ კორპორატიული კულტურის მნიშვნელობა და სახეცვლილება ციფრული ტექნოლოგიების მოცემულ სფეროში ინტეგრაციის პირობებში.

კვლევის პირველ ნაწილში განხილულია, ზოგადად, კორპორატიული კულტურა და ციფრული ტრანსფორმაცია, როგორც ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ცნებები, აღწერილია კულტურის სხვადასხვა ტიპი. შემდგომ უკვე ახსნილია, რა ცვლილებები ვლინდება ბიზნესის ფუნქციონირებაში ციფრული ტრანსფორმაციის დროს, როგორ ყალიბდება ახალი კორპორატიული კულტურა და რა გამოწვევებს აწყდება კომპანია მოცემულ მომენტში. კვლევის პროცესში გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები, რის საფუძველზეც გაირკვა, რა პროცესები დაიწყო თანამედროვე საბანკო სექტორში ამ მიმართულებით და რა დამოკიდებულებით ხვდებიან სიახლეებს უშუალოდ დასაქმებულები. დასკვნაში განზოგადებულია კვლევის შედეგები და მოცემულია შესაბამისი რეკომენდაციები კვლევაში მონაწილე საბანკო კომპანიების მიმართ.

ამ სამაგისტრო ნაშრომში განხილული საკითხები საინტერესო შეიძლება იყოს ნებისმიერი პირისთვის, ვინც დაინტერესებულია კომპანიებში არსებული კორპორატიული კულტურის მნიშვნელობით და ციფრული ტრანსფორმაციის შედეგად წარმოშობილი გამოწვევებითა და შესაძლებლობებით. ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ციფრული ტრანსფორმაცია საკმაოდ ძლიერ ძვრებს იწვევს სამუშაო სტილისა და შიდა ურთიერთობების კუთხით.

საკვანძო სიტყვები: კორპორატიული კულტურა, ციფრული ტრანსფორმაცია

ABSTRACT

In order to be ready for starting a digital transformation, companies must foresee these expected results in advance, what they have to face.. Plnanning digital initiatives effects on a work environment, including corporate culture. the company must elaborate strategies on how to regulate these changes and, if necessary, how to cope with challenges to implement digital transformation successfully.

The master's thesis "The Impact of Digital Transformation on Corporate Culture" presents the interdependence of digital transformation and corporate culture. On the example of Georgian banks issues were studied and they give us opportunity to clearly see importance of corporate culture and modification under conditions of digital technologies integration in this field.

In the first part of research is generally discussed corporate culture and digital transformation as independent concepts. There is described different types of corporate culture. Then there is explained what type of changes are revealed in the process of business functioning under conditions of digital transformation, also how to establish renewed corporate culture and what challenges are faced by company. Both quantitative and qualitative methods are employed in this research. Based on this, it was found out what processes have been started in the modern banking sector in this direction and what attitude the employees get the innovations with. The conclusion summarizes the research results and provides pertinent recommendations for the banking companies taking part in the study.

The issues discussed in this master's thesis can be interesting to anyone who is curious about the importance of corporate culture in companies and the challenges and opportunities that are connected to digital transformation. The research revealed that digital transformation is causing quite strong shifts in terms of work styles and internal relationships.

Keywords: corporate culture, digital transformation